პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

F 76 N 370

პარასკევი, 4 ივლისი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 27 (186) ფასი 30 კაპ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 3 ივლისს

ამხანაგებო! მოქალაქენო! ძმებო და დებო! ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომრებო! თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!

ჰიტლერული გერმანიის მუხანათური სამხედრო თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე, რაც 22 ივნისს დაიწყო,— გრძელდება. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ მტრის საუკეთესო დივიზიები და მისი ავიაციის საუკეთესო ნაწილები უკვე დამარცხდნენ და სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე, მტერი კვლავ წინ მოძვრება და ახალ-ახალი ძალები მოჰყავს ფრონტზე. ჰიტლერის ჯარმა მოახერხა ხელში ჩაეგდო ლიტვა, ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსიის დასავლეთი ნაწილი, დასავლეთ უკრაინის ნაწილი. ფაშისტური ავიაცია აფართოებს თავის ყუმბარმშენთა მოქმედების რაიონებს, ყუმბარას უშენს მურმანსკს, ორშას, მოგილევს, სმოლენსკს, კიევს, ოდესას, სევასტოპოლს. ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა.

როგორ მოხდა, რომ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ ფაშისტურ ჯარს დაანება მთელი რიგი ჩვენი ქალაქები და რაიონები? ნუთუ გერმანელ ფაშისტთა ჯარი მართლაც უძლეველი ჯარია, როგორც ამას განუწყვეტლივ გაჰკივიან ფაშისტი მკვეხარა პროპაგანდისტები?

რასაკვირველია, არა! ისტორია გვიჩვენებს, რომ უძლეველი არმიები არ არიან და არც ყოფილან. ნაპოლეონის არმიას უძლეველად სთვლიდნენ, მაგრამ იგი დამარცხა ხან რუსეთის, ხან ინგლისის, ხან გერმანიის ჯარმა. პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში ვილჰელმის გერმანიის არმიასაც უძლეველ არმიად სთვლიდნენ, მაგრამ მან რამდენჯერმე განიცადა მარცხი რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარებისაგან და, ბოლოს, დამარცხებულ იქნა ინგლის-საფრანგეთის ჯარების მიერ. იგივე უნდა ითქვას ჰიტლერის ახლანდელ გერმანულ-ფაშისტურ არმიაზე. ამ არმიას ჯერ კიდევ არ შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობა ევროპის კონტინენტზე. მხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე წააწყდა იგი სერიოზულ წინააღმდეგობას. თუ ამ წინააღმდეგობის შედეგად გერმანულ ფაშისტური არმიის საუკეთესო დივიზიები დამარცხებული იქნენ ჩვენი წითელი არმიის მიერ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიტლერის ფაშისტური არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდეც, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი ტერიტორიის ნაწილი მაინც ხელთ იგდო გერმანულ-ფაშისტურმა ჯარმა, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ფაშისტური გერმანიის ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანული ჯარისათვის ხელსაყრელ პირობებში და საბჭოთა ჯარისათვის არახელსაყრელ პირობებში დაიწყო. საქმე ის არის, რომ გერმანიის ჯარი, როგორც ისეთი ქვეყნის ჯარი, რომელიც ომს აწარმოებს, უკვე სავსებით მობილიზებული იყო და გერმანიის მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოყვანილი და სსრ კავშირის საზღვრებთან წამოწეული 170 დივიზია სავსებით მომზადებული იყო და მხოლოდ სიგნალს ელოდა გამოსვლისათვის, მაშინ როდესაც საბჭოთა ჯარი ჯერ კიდევ უნდა მობილიზებულიყო და საზღვრებისაკენ წაწეულიყო. აქ ცოტა მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ფაშისტურმა გერმანიამ მოულოდნელად და მუხანათურად დაარღვია 1939 წელს გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი, ანგარიში არ გაუწია იმას, რომ მას მთელი მსოფლიო თავდამსხმელ მხარედ ჩასთვლიდა.

გასაგებია, რომ ჩვენს მშვიდობისმოყვარე ქვეყანას, რომელსაც არა სურდა პაქტის დარღვევის ინიციატივა ეკისრნა, არ შეეძლო ვერაგობის გზას დასდგომოდა.

შეიძლება იკითხონ: როგორ მოხდა, რომ საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა დაედო თავდაუსხმელობის პაქტი ისეთ ვერაგ ადამიანებთან და მტარვალებთან, როგორიც არიან ჰიტლერი და რიბენტროპი? შეცდომა ხომ არ დაუშვია აქ საბჭოთა მთავრობას? რა თქმა უნდა, არა! თავდაუსხმელობის პაქტი არის ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანობის შესახებ დადებული პაქტი. სწორედ ასეთი პაქტი შემოგვთავაზა ჩვენ გერმანიამ 1939 წელს. შეეძლო თუ არა საბჭოთა მთავრობას უარი ეთქვა ასეთ წინადადებაზე? ვფიქრობ, რომ არცერთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს არ შეუძლია უარი სთქვას მეზობელ სახელმწიფოსთან სამშვიდობო შეთანხმებაზე, თუნდაც ამ სახელმწიფოს სათავეში ედგნენ ისეთი მტარვალები და კაციჭამიები, როგორიც ჰიტლერი და რიბენტროპი არიან. და ეს, რა თქმა უნდა, ერთი აუცილებელი პირობით — თუ სამშვიდობო შეთანხმება არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ ლახავს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და ღირსებას. როგორც ცნობილია, გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი სწორედ ასეთ პაქტს წარმოადგენს. რა მოვიგეთ ჩვენ იმით, რომ თავდაუსხმელობის პაქტი დავდევით გერმანიასთან? ჩვენ უზრუნველვყავით ჩვენი ქვეყნისათვის მშვიდობიანობა წლინახევრის განმავლობაში და შესაძლებლობა ჩვენი ძალების მომზადებისა მტრის უკუსაგდებად, თუ ფაშისტური გერმანია, პაქტის მიუხედავად, გაბედავდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას. ეს გარკვეული მოგებაა ჩვენთვის და წაგება ფაშისტური გერმანიისათვის.

რა მოიგო და რა წააგო ფაშისტურმა გერმანიამ იმით, რომ ვერაგულად დაარღვია პაქტი და თავს დაესხა სსრ კავშირს? ამით მან მიაღწია თავისი ჯარებისათვის ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას მოკლე ხნით, მაგრამ მან წააგო პოლიტიკურად, ვინაიდან მთელი მსოფლიოს თვალში გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა. ეჭვი არ არის, რომ ეს ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობა გერმანიისათვის მხოლოდ ეპიზოდია, სსრ კავშირის დიდი პოლიტიკური მოგება კი სერიოზული და ხანგრძლივი ფაქტორია, რომლის საფუძველზედაც უნდა გაიშალოს წითელი არმიის გადამწყვეტი სამხედრო წარმატებანი ფაშისტურ გერმანიასთან ომში.

აი რატომ არის, რომ მთელი ჩვენი მამაცი არმია, მთელი ჩვენი მამაცი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ყველა ჩვენი მფრინავი — შავარდენი, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ევროპის, ამერიკისა და აზიის ყველა საუკეთესო ადამიანი, ბოლოს, გერმანიის ყველა საუკეთესო ადამიანი — ჰგმობენ გერმანიის ფაშისტების ვერაგულ მოქმედებას და თანაგრძნობით ეპყრობიან საბჭოთა მთავრობას, იწონებენ საბჭოთა მთავრობის მოქმედებას და ხედავენ, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია, რომ მტერი დამარცხებულ იქნება, რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ.

ომის გამო, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, ჩვენი ქვეყანა ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში თავის უბოროტეს და ცბიერ მტერთან— გერმანიის ფაშიზმთან. ჩვენი ჯარები გმირულად ებრძვიან მტერს, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია ტანკებითა და ავიაციით. წითელი არმია და წითელი ფლოტი, სძლევენ რა მრავალ სიძნელეს, თავგანწირვით იბრძვიან თვითეული მტკაველი საბჭოთა მიწისათვის. ბრძოლაში ებმებიან წითელი არმიის მთავარი ძალები, რომელნიც ათასობით ტანკებითა და თვითმფრინავებით არიან შეიარაღებულნი. წითელი არმიის მეომართა მამაცობა უმაგალითოა. მტრისადმი ჩვენი წინააღმდეგობა მტკიცდება და ძლიერდება. წითელ არმიასთან ერთად სამშობლოს დასაცავად გამოდის მთელი საბჭოთა ხალხი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოვსპოთ საშიშროება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და რა ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ შევმუსროთ მტერი?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რათა ჩვენმა ადამიანებმა, საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და უკუაგდონ უდარდელობა, უზრუნველობა, მშვიდობიანი მშენებლობის განწყობილება, სავსებით გასაგები ომამდელ დროში, მაგრამ დამღუპველი ამჟამად, როდესაც ომმა ძირფესვიანად შესცვალა მდგომარეობა. მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი მიზნად ისახავს აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გაგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს. საქმე ეხება იმას — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ. საჭიროა, რათა საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ ეს და უკუაგდონ უდარდელობა, რათა მოახდინონ თავისი თავის მობილიზება და გარდაჰქმნან მთელი თავიანთი მუშაობა ახალ, საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა.

შემდეგ, საჭიროა, რათა ჩვენს რიგებში არ მოიპოვებოდნენ მოწუწუნენი და ლაჩრები, პანიკიორები და დეზერტირები, რათა ჩვენი ადამიანები უშიშარნი იყვნენ ბრძოლაში და თავგანწირულად მიდიოდნენ ჩვენს სამამულო განმათავისუფლებელ ომში ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ. დიდი ლენინი, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო შექმნა, ამბობდა, რომ საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს სიმამაცე, გამბედაობა, უშიშრობა ბრძოლაში, მზადყოფნა იმისათვის, რომ ხალხთან ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. საჭიროა, რათა ბოლშევიკის ეს ჩინებული თვისება ახასიათებდეს წითელი არმიის, ჩვენი წითელი ფლოტისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მილიონებსა და მილიონებს.

ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს. საბჭოთა კავშირის ხალხები ახლა ხედავენ, რომ გერმანიის ფაშიზმი დაუცხრომელ ცოფმორეულ გაბოროტებასა და სიძულვილს იჩენს ჩვენი სამშობლოსადმი, რომელმაც ყველა მშრომელისათვის უზრუნველჰყო თავისუფალი შრომა და კეთილდღეობა. საბჭოთა კავშირის ხალხები უნდა აღსდგნენ თავიანთი უფლებების, თავიანთი მიწა-წყლის დასაცავად მტრის წინააღმდეგ.

წითელი არმია, წითელი ფლოტი და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე უნდა იცავდნენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა იბრძოდნენ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, უნდა იჩენდნენ ჩვენი ხალხის დამახასიათებელ გამბედაობას, ინიციატივასა და გამჭრიახობას.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ ყოველმხრივი დახმარება წითელი არმიისადმი, უზრუნველვყოთ მისი რიგების გაძლიერებული შევსება, უზრუნველვყოთ მისი მომარაგება ყველაფრით, რაც საჭიროა, მოვაწყოთ ჯარებისა და სამხედრო ტვირთების ტრანსპორტთა სწრაფად გადაყვანა, დაჭრილთათვის ფართო დახმარების აღმოჩენა.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ წითელი არმიის ზურგი და ამ საქმის ინტერესებს დავუმორჩილოთ მთელი ჩვენი მუშაობა, უნდა უზრუნველვყოთ ყველა საწარმოს გაძლიერებული მუშაობა, მეტი შაშხანის, ტყვიამფრქვევის, ქვემეხის, ვაზნის, ჭურვის, თვითმფრინავის წარმოება, უნდა მოვაწყოთ ქარხნების, ელექტროსადგურების, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის დაცვა, უნდა მოვაგვაროთ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვა.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ ულმობელი ბრძოლა ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკიორებთან, ხმების გამავრცელებლებთან, უნდა მოვსპოთ ჯაშუშები, დივერსანტები, მტრის პარაშუტისტები და ყოველივე ამაში სწრაფად დავეხმაროთ ჩვენ მიერ შექმნილ გამანადგურებელ ბატალიონებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მტერი ვერაგია, ცბიერია, გამოცდილია მოტყუებაში და ცრუ ხმების გავრცელებაში. უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და არ ავყვეთ პროვოკაციას. საჭიროა დაუყოვნებლივ მივცეთ სამხედრო ტრიბუნალის სამართალში, განურჩევლად პიროვნებისა, ყველა ის, ვინც თავისი პანიკიორობითა და ლაჩრობით ხელს უშლის თავდაცვის საქმეს.

წითელი არმიის ნაწილების იძულებითი გადმონაცვლების დროს უნდა წამოვიღოთ მთელი მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობა და არ დავუტოვოთ მტერს არცერთი ორთქლმავალი, არცერთი ვაგონი, არ დავუტოვოთ მოწინააღმდეგეს არცერთი კილოგრამი პური, არცერთი ლიტრი საწვავი. კოლმეურნეებმა უნდა გამორეკონ მთელი საქონელი, პური დასაცავად უნდა ჩააბარონ სახელმწიფო ორგანოებს ზურგის რაიონებში გადმოსაზიდად. მთელი ძვირფასი ქონება, მათ შორის ფერადი ლითონები, პური და საწვავი, რომელიც კი არ შეიძლება გამოტანილ იქნას, უეჭველად უნდა მოისპოს.

მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში უნდა შევქმნათ ცხენოსანი და ქვეითი პარტიზანული რაზმები, უნდა შევქმნათ სადივერსიო ჯგუფები მტრის არმიის ნაწილებთან საბრძოლველად, ყველგან და ყოველ ადგილას პარტიზანული ომის გასაჩაღებლად, ხიდების, გზების ასაფეთქებლად, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის გასაფუჭებლად, ტყეებისა, საწყობებისა და ალალებისათვის ცეცხლის წასაკიდებლად. დაპყრობილ რაიონებში უნდა შევქმნათ აუტანელი პირობები მტრისათვის და ყველა მისი დამქაშისათვის, უნდა ვდევნოთ და მოვსპოთ ისინი ყოველ ნაბიჯზე, უნდა ჩავშალოთ ყველა მათი ღონისძიება.

ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად ვერ ჩაითვლება. იგი არა მარტო ორი არმიის ომია. იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ. ამ განმათავისუფლებელ ომში ჩვენ მარტონი არ ვიქნებით. ამ დიდ ომში ჩვენ ერთგულ მოკავშირეებად გვეყოლებიან ევროპისა და ამერიკის ხალხები, მათ შორის გერმანელი ხალხი, რომელიც ჰიტლერელმა მმართველებმა დაიმონეს. ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთდება ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის პრემიერის ბ-ნ ჩერჩილის ისტორიული გამოსვლა საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დეკლარაცია, რომ იგი მზად არის დახმარება გაუწიოს ჩვენს ქვეყანას, — რასაც საბჭოთა კავშირის ხალხთა გულში მხოლოდ მადლობის გრძნობა შეუძლია გამოიწვიოს, — სავსებით გასაგები და საგულისხმოა.

ამხანაგებო! ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში. თავდამსხმელ მტერთან საომრად წითელ არმიასთან ერთად გამოდიან მრავალი ათასობით მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. აღსდგებიან ჩვენი ხალხის მილიონიანი მასები. მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელები უკვე შეუდგნენ მრავალათასიანი სახალხო ლაშქრის შექმნას წითელი არმიის დასახმარებლად. ყოველ ქალაქში, რომელსაც მტრის თავდასხმის საფრთხე ემუქრება, ჩვენ უნდა შევქმნათ ასეთი სახალხო ლაშქარი, საბრძოლველად გამოვიყვანოთ ყველა მშრომელი, რათა ჩვენი მკერდით დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სამშობლო — ჩვენს სამამულო ომში გერმანიის ფაშიზმთან.

იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნან სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, შექმნილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ხელშიც ახლა თავმოყრილია მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეუდგა თავის მუშაობას და მოუწოდებს მთელ ხალხს დაირაზმოს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო იმისათვის, რომ თავდადებით დაეხმაროს წითელ არმიასა და წითელ ფლოტს, გაანადგუროს მტერი, მოიპოვოს გამარჯვება.

მთელი ჩვენი ძალები — ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად!

ხალხის მთელი ძალები—მტრის გასანადგურებლად!

წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნა

შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო და იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნას სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნეს:

1. შეიქმნას თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ამხ. ი. ბ. სტალინი (თავმჯდომარე)

ამხ. ვ. მ. მოლოტოვი (თავმჯდომარის მოადგილე)

ამხ. კ. ე. ვოროშილოვი

ამხ. გ. მ. მალენკოვი

ამხ. ლ. პ. ბერია

2. მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში თავმოყრილ იქნას თავდაცვის კომიტეტის ხელში.

3. დაევალოს ყველა მოქალაქეს და ყველა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამხედრო ორგანოს სიტყვაშეუბრუნებლად შეასრულონ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე
მ. ი. კალინინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და
საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
ი. ბ. სტალინი

მოსკოვი, კრემლი.
1941 წლის 30 ივნისი.

6091

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა გამარჯვებისა

ალიო მაშაშვილი

შხამად შეერგოს დედის რძე,
ცოფს ჰყრიდეს პირ-ზიზღიანი,
დაეცეს, ხსნას არ ელოდეს,
ვერ მოირჩინოს ზიანი,
დაძრწოდეს, გზას ვერ იკვლევდეს
გახელებული, ზნიანი,
მეწყერი წამოეწიოს,
დღე დაუბნელდეს მზიანი!

პურს ჭამდეს, მიწა ეგონოს
ყვავ-ყორნის ლეშად ქცეული,
წყალს სვამდეს, სისხლი ეგონოს
შხამ-გესლად ჩამოქცეული,
იწვოდეს, იტანჯებოდეს
როგორც იუდა წყეული,
მშიერ-მწყურვალი კვდებოდეს
მეზობლებს გამოქცეული!

ვინც უღალატოს სამშობლოს,
დიად საბჭოთა მხარესა,
მთაგორებს, ვეფხის ტყაოსნებს,
მორთულ-მოფარჩულ არესა,
ჩვენს მამულს შრომით აღდგენილს,
მშობლიურ მზეს და მთვარესა,
ჰერმაღალ ცას და ვარსკვლავებს
მოკაშკაშ-მოელვარესა!

სტალინის დროშა გავშალოთ—
ორბის-ფრთა ნაპერწკლოვანი,
დავსძახოთ ბრძოლის ყიჟინა
მრისხანე ხმა - ცეცხლოვანი,
მტრებს დავსცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს
მათი ოხვრა და გლოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით
სამშობლო სახელოვანი!

ლაშქრული

შალვა აფხაიძე

აღსდეგი, ხალხო, ხმა ისმის
ბრძოლისკენ მოწოდებისა!
დრო დადგა მტერთა დალაშქვრის,
მისი უფსკრულში გდებისა
წინ ბარის რისხვა მიგვიძღვის,
მაღლა გუგუნი მთებისა.
აღსდეგ, მოგვიხმობს ბელადი,
გავშალოთ დროშა ძლევისა!

სახლში დარჩენა არ გვმართებს,
დავდვათ ეს ძმური პირობა:
ვაძგეროთ გული ქვეყნისთვის,
წინ წარვიმძღვაროთ გმირობა,
ქვემეხს, შაშხანას, ტყვიამფრქვევს
ვასწავლოთ პირდაპირობა,
ფაშისტთა ხრესის, დალახვრის
არ ჩამოვარდეს ძვირობა.

დავჰქროთ, ხმალი ფიცხელი
ვაელვოთ მამაპაპურად,
ხომ გაიგონეთ ომია
დღეს სამამულო, ზღაპრული!
მტერი ვერაგი იქნება
ძლეული, მიწას გაკრული,
ჩამოხმეს მისი მარჯვენა,
იყოს წყეული და კრული!

აღსდეგ, მოისმის გუგუნი
დაწყებულ ბრძოლის ხმებისა,
ჩვენი ალამი წმინდაა,
დრო არის გამარჯვებისა!
რისხვად დავეცეთ მტერს თავზე,
ვიყოთ სტალინის ნებისა,
სულ მაღლე შეაშრიალებს
ლაჟვარდს ნაღარა ლხენისა!

პოეტები სამობილიზაციო წერტებზე

ქართველი საბჭოთა პოეტები დიდის ენტუზიაზმით მონაწილეობენ ქალაქ თბილისის რაიონების სამხედრო კომისარიატების სამობილიზაციო წერტების მუშაობაში. საბჭოთა პატრიოტიზმით და საბჭოთა ხალხების სამამულო ომის ინტერესებით გაჟღენთილი მათი ახალი ლექსები აქტიურ სააგიტაციო-საპროპაგანდო როლს ასრულებენ მასების დარაზმვის საქმეში. მობილიზებული სამხედრო ვალდებულნი დიდი ინტერესით უსმენენ პოეტებს.

27 ივნისს, აღფრთოვანებით მოისმინეს წითელ არმიაში გაწვეულებმა და მათმა გამცილებლებმა საბჭოთა პოეტების ილო მოსაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, სანდრო შანშიაშვილის, ალ. აბაშელის, გიორგი ქუჩიშვილისა და შალვა აფხაიძის ლექსები **ბერიას** რაიონის სამხედრო კომისარიატის № სამობილიზაციო წერტში.

29 ივნისს დილის 10 საათზე **მოლოტოვის** რაიონის სამხედრო კომისარიატის ეზოში სამხედრო ვალდებულებს მოეყარათ თავი. სამხედრო კომისრის და პოლიტხელის დაძახებაზე ყველანი ერთს ადგილას მოგროვდნენ. პოლიტხელმა გამოაცხადა, რომ მათ ეწვივნენ საბჭოთა მწერლები.

წითელ არმიაში გაწვეულებს სიტყვით მიესალმა ს. წვერავა. პოეტებმა სიმონ ჩიქოვანმა, გიორგი ლეონიძემ, კარლო კალაძემ და გიორგი ქუჩიშვილმა წაიკითხეს ლექსები **სტალინზე**, წითელ არმიაზე, სამშობლოზე; შეხვედრამ დიდი ენტუზიაზმით ჩაიარა.

ასეთივე გამოსვლა საბჭოთა მწერლებისა ამავე დღეს, 11 საათზე, მოეწყო მიასნიკოვის სახელობის საზაფხულო კლუბში.

სიკვდილი პირსისხლიან ფაშიზმს!

გერმანიის ფაშისტური ყაჩაღები ომის გამოუცხადებლად, მუხანათურად დაესხნენ თავს საბჭოთა ქვეყანას. ჩვენს ხალხს არა სურდა ეს ომი, ის თავზე მოგვახვიეს კაცობრიობის დაუძინებელმა მტრებმა—პირსისხლიანმა ფაშისტებმა.

ახლა საქმე ეხება იმას, რომ დაუნდობლად გავანადგუროთ და მოვსპოთ საზიზღარი ფაშისტი ქვეწარმავალი, რომელმაც გაბედა და ვერაგულად თავს დაესხა თავისუფლებისა და ბედნიერების ქვეყანას — დიად საბჭოთა კავშირს. ფაშისტი ბარბაროსების ხროვა საქმით დარწმუნდება, თუ რა მტკიცედ და ურყევად არის შემჭიდროებული ორას-მილიონიანი საბჭოთა ხალხი, თუ რა მძაფრი სიძულვილით არის იგი გამსჭვალული ვერაგი მტრისადმი. საბჭოთა ხალხი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მოიპოვებს გადამწყვეტ და საბოლოო გამარჯვებას პირსისხლიან ფაშიზმზე.

გათავხედებულმა მტერმა, რომელიც თავს გავიდა იოლი და იაფი გამარჯვებებით პატარა ხალხების სუსტ არმიებზე, პირველ ბრძოლებშივე იგრძნო, რომ საბჭოთა საზღვრებზე იგი შეხვდა განსაკუთრებული ტიპის არმიას — გმირულ და უძლეველ წითელ არმიას. წითელი არმია იცავს სოციალისტურ სამშობლოს, მშობლიური ხალხის თავისუფლებასა და ღირსებას, თავისი ოჯახის სიცოცხლესა და შრომას.

წითელი არმია, რომელიც ძლიერია თავისი პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკით, დიად საბჭოთა ხალხთან მტკიცე კავშირით, თავისი სიმამაცით და გმირობით, თავისი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციებით, გაანადგურებს ფაშისტ ყაჩაღებს. გათავხედებული გერმანელი ფაშისტები, თავიანთ უბადრუკ მიმყოლებთან ერთად, საკუთარ ტყავზე დარწმუნდებიან წითელი არმიის ძლიერებაში, დიადი საბჭოთა ხალხის ძალასა და სიმტკიცეში.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ ბრძოლა ვერაგ მტრებთან ადვილი როდია, მაგრამ საბჭოთა ხალხი მიჩვეულია სიძნელეებს. სიძნელეთა დაძლევით მან მოიპოვა გამარჯვება ინტერვენტებზე სამოქალაქო ომში; სიძნელეთა დაძლევით მან ყოველთვის საკადრისი პასუხი გასცა მტრებს, რომლებმაც ხელჰყვეს საბჭოთა საზღვრები. „ჩვენ გაბედულად ვუსწორებთ თვალს საფრთხეს. ჩვენ ვიცით, რომ მტერი, რომელიც თავს დაგვესხა, ძლიერია. ჩვენ იოლ გამარჯვებაზე როდი ვამყარებთ იმედს. ჩვენ ვიცით, რომ გამარჯვება ფაშიზმზე, ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილ უცხოელთა ურდოებზე ძნელი იქნება და ჩვენგან ცოტა მსხვერპლს როდი მოითხოვს. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. ამ გამარჯვების საწინდარია ხალხის მონოლითური შემჭიდროება **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის გარშემო, ჩვენი მშობლიური საყვარელი **სტალინის** გარშემო, რომლის სახელითაც გულში წითელი არმიის მამაცი მხედრები არაერთხელ წასულან ბრძოლაში და გაუმარჯვნიათ. ამ გამარჯვების საწინდარია სიმამაცე ჩვენი დიადი ხალხისა, რომელსაც თავისი ისტორიის მანძილზე არაერთხელ უნახავს მრავალი განსაცდელი, საიდანაც იგი მუდამ ღირსეულად გამოსულა. ამ გამარჯვების საწინდარია აგრეთვე ის, რომ ჩვენს მხარეზეა ღირსება, სიმართლე და სამართლიანობა, ჩვენს მხარეზეა მთელი მშრომელი კაცობრიობის სიმპატია და სიყვარული" („პრავდა").

იმისათვის, რომ ფაშისტ ყაჩაღებზე გამარჯვება ნაკლების სიძნელეებით, ნაკლების მსხვერპლით იქნას მიღწეული, ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ ორგანიზებული და დისციპლინირებული. ყველა თავისი საქმით, თავისი თავდადებული მუშაობით უნდა ზრუნავდეს ჩვენი ხალხისა და ქვეყნის გამარჯვებისათვის.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის დიდი **სტალინის** მიერ 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელშიაც ბელადმა ჩვენს ხალხს, ჩვენს წითელ არმიას, სამხედრო და საზღვაო ფლოტს, მფრინავებს მოუწოდა ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ სამამულო განმათავისუფლებელ ომისაკენ, მტრის სავსებით განადგურებისაკენ, უდიდესი აღტყინება და აღფრთოვანება გამოიწვია მუშებში, გლეხებში, ინტელიგენციაში, განამტკიცა მათში პირსისხლიან ფაშიზმზე გამარჯვების მტკიცე რწმენა, შეგნება იმისა, რომ ვერაგ მტერს დაუნდობლად მოვსპობთ და გავანადგურებთ.

კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დავირაზმოთ ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ჩვენი საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

ახალი პლაკატები თავდაცვითს თემებზე

28 ივნისს ხელოვნების სამმართველოში გაიმართა მხატვართა კავშირის წევრებისა და ხელოვნების სამმართველოს წარმომადგენლების გაერთიანებული თათბირი თავდაცვითი, საბრძოლო, ანტიფაშისტური და სხვა ხასიათის ახალ პლაკატების შექმნის შესახებ.

უკვე წარმოადგინეს თავიანთი პლაკატების ესკიზები მხატვრებმა: გაბაშვილმა, კეცხოველმა, ჯაფარიძემ, გრიგოლიამ, სიდამონ-ერისთავმა, ნადარეიშვილმა, ვეფხვაძემ და გრძელიშვილმა.

მიღებულ ესკიზებს უახლოეს ხანებში დაბეჭდავენ.

მოძრავი გამოფენა თავდაცვითსა და ანტიფაშისტურ თემებზე

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ და მხატვართა კავშირმა დაადგინეს, უახლოეს ხანებში მოაწყონ თავდაცვით, პატრიოტულ საბრძოლო-ისტორიულ და ანტიფაშისტურ თემებზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა მოძრავი გამოფენა.

საქართველოს მხატვრებმა განაცხადეს, რომ ისინი ახლო ხანებში შექმნიან სრულიად ახალ ნამუშევრებს ამ თემებზე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება და პლაკატები.

გამოფენა მოეწყობა თბილისში და შემდეგ მომსახურეობას გაუწევს საქართველოს რაიონებს და წითელი არმიის ნაწილებს.

დედა და შვილი

ალ. აბაშელი

სამშობლო ქვეყნის ძახილზე
საომრად მიგეჩქარება.
არწივის ფრთები შეგასხან
კავკასიონის ქარებმა.

მიდიხარ და თან მიგყვება
ჩემი გული და გონება.
სხივანთებული ეს წუთი
მარადჟამ მომეგონება.

შენ წახვალ, მე აქ დავრჩები,
ქვეყანას აქვე ვსჭირდები:
მე აქ შენეულ კომბაინს
ხელმარჯვედ ჩავეჭიდები.

შენ იქ სისხლს დაღვრი, მე ოფლად
აქ დავეფრქვევი ყანასა.
დღეს ეს ორივე თანაბრად
სჭირდება ჩვენს ქვეყანასა.

და როცა ვენახს დატვირთავს
წითელი იაგუნდები,
მე მჯერა, სახელოვანი,
მშვიდობით დამიბრუნდები.

ფრონტის მეგობარი

გრიგოლ აბაშიძე

ღამით ძილს სტეხს დაჭრილებთან,
დღისით ახალ კარავს მართავს,
დადის, როგორც თეთრი მტრედი,
ფრთათეთრი და ფრთაფარფატა.

გაიელვებს მოჩვენებად
ლაზარეთში სანთელსავით,
აქ სუყველა მისი ძმაა,
ყველა მისი ნათესავი.

როცა ბინდში სარკმელს იქით,
ტყვიის ცეცხლში მოსჩანს ჯარი,
სწუხს რომ ქალად გაჩენილა,
ნანობს, ვაჟი რომ არ არი.

ფეხაკრეფით წამოდგება,
თოფს იღებს და მიდის ნელა,
მებრძოლებთან ბრძოლა უნდა,
მაგრამ ვიღაც ითხოვს შველას.

შეჩერდება, ტყდება უცებ,
წინ ვერ მიდის, ესმის კვნესა,
და სიმტკიცეს მონატრული
დაიხრება უნაზესად.

დაიხრება იმედიან
გამოხედვით ვაჟის მხართან,
თეთრხალათა თეთრი მტრედი,
ფრთათეთრი და ფრთაფარფატა.

სამშობლოსათვის

ალექო შენგელია

განა ცოტა გვინახავს
მტრის ჯარების თარეში,
სამამულო ბრძოლაში
ბრძოლის ჟინით ვიწოდით
ლამაზ საქართველოში.
ვაჟკაცობის მხარეში, —
დამარცხება უნდოდათ?
გამარჯვება ვიცოდით.
ქუდზე კაცი გავსულვართ
„დაჰკა მაგას" გუგუნით,
ჩვენი მიწის სახელით
ცეცხლი გადაგვილახავს,
ღამე გაგვირღვევია
მრისხანე და უკუნი, —
მშობლიური დღეები
კვლავ წითელი გვინახავს.
ჩვენ, იმ გმირთა თაობას,
ჩვენ, მილიონ არაგველს,
საბჭოეთის მიწა-წყლის
მამაც მამულიშვილებს, —
წმინდა ვალი გვეძახის
და სურვილი გვალაღებს:
ბრძოლა არის საჭირო?
სისხლსაც არ დავიშურებთ.
განა ცოტა გვინახავს,
ცოტა მოგვითმენია?
შიმშილში და ყინვაში
სამშობლოსთვის ვკვდებოდით,
ვაჟკაცური ვაშათი
მტერი დაგვიფრენია,
ვეცემოდით ათასი, —
უთვალავი ვდგებოდით.
ჰეი, ჩვენო დედებო, —
მშობლიურო ქალებო!..
ქართველებმა ლაშქრობა
სიმღერებით იცოდნენ,
მივალთ, დედა-სამშობლო
მტერს რომ არ დავანებოთ.
სიყვარულში გვახსენეთ,
ცრემლით ნუ შეგვიცოდებთ!
მივალთ!.. განა მარტო ვართ,
მარტო რუსი, ქართველი,
ყველგან ჩვენი ჯარია,
უძლეველი ლაშქარი.
ჩვენი დროშა ბრწყინვალე, —
საბჭოეთის ნათელი,
გამარჯვების სახელით
გვამხნევებს და დაგვხარის.
განა ცოტა გვინახავს
მტრის ჯარების თარეში,
სამამულო ბრძოლაში
ბრძოლის ჟინით ვიწოდით,
ჩვენს ბედნიერ მხარეში, —
ვაჟკაცების მხარეში,
დამარცხება უნდოდათ?
გამარჯვება ვიცოდით.



ჩვენ თქვენთანა ვართ!

ჟან რიშარ ბლოკი

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მე მსგავსად საფლავიდან ამდგარ ლაზარესი, ოკუპირებულ საფრანგეთიდან მოსკოვისაკენ გამოვემართე. მოვდიოდი და თავში ირეოდნენ ფიქრები ჩემი თანამემამულეების ტანჯვა-წამების გამო, შეპყრობილი ვიყავი სირცხვილის გრძნობით ფრანგი ფაშისტების იმ მოღალატეობისათვის, რომელიც მათ თავიანთ სამშობლოს წინაშე ჩაიდინეს.

გამოვიარე შავ-ბნელი სამხედრო ბანაკი, რათაც გერმანია გადაქცეულა. და მინდა ვილაპარაკო აქ ფაქტებზე: მინდა ვსთქვა, როგორ გამოიყურება ბერლინი, სადაც ადამიანები ლანდებივით მიდი-მოდიან, — ისინი უფრო დაღვრემილ-დამწუხრებულნი არიან, ვიდრე დღევანდელი პარიზის მცხოვრებნი. საჰაერო ბომბარდირების კვალი ამჩნევია თვით ქალაქის ცენტრსაც კი... ბერლინის ოპერის სახელგანთქმული შენობა ძირიან-ფესვიანად გადაიბუგა ამ რამდენიმე დღის წინათ... რამდენიმე ათეული სახლი უნტერ დენ ლინდენზე სდგას უსახურაოდ, უზედა-სართულებოდ.

იმ მატარებლის ვაგონში, რომელსაც საბჭოთა საზღვრებისაკენ მოვყავდი, ჩემთან რკინიგზის მოსამსახურე ქალი მოვიდა და მკითხა:

— სად მიემგზავრებით? საბჭოთა კავშირში?

— დიახ...

— რიგაში ხომ არა?

— არა, მოსკოვში.

— ჰოო! მოსკოვში! მე ბედნიერება არამქონია ვყოფილიყავ იქ... რა მდგომარეობაა ახლა მოსკოვში?

ფრთხილად ვუპასუხე:

— იქ ხომ მშვიდობიანობაა...

ამის პასუხად ქალმა ღრმად ამოიოხრა:

— მშვიდობიანობა! მშვიდობიანობა!

უეცრად ქალი გამოცოცხლდა და განაგრძო:

— ჩვენ გვინდა, ჩვენ გვწყურია მშვიდობიანობა, ჩვენთვის კი მხოლოდ დაუსრულებელი ომია. ჩვენს ბატონ-პატრონებს უნდათ ახლა უკრაინა და კავკასიის ნავთი. ყველას აქვს ახლა საფუძველი სთქვას, რომ ეს იმპერიალისტური ომია...

ორი მოიერიშე ოფიცრის გამოჩენამ ქალს ხმა ჩააკმენდინა. ოფიცრებმა ჰკითხეს ქალს, მატარებელში ვაგონ-რესტორანი თუ არისო. მანამდე ქალმა მითხრა, რომ ამ მატარებელში ვაგონ-რესტორანი არ არისო, მაგრამ ოფიცრებს მატარებლის დერეფნის ბოლოზე მიუთითა. მოიერიშეები მოგვშორდნენ და ქალმა ეშმაკურად თვალი ჩამიკრა. მან განაგრძო, მაგრამ უფრო დაბალი ხმით:

— საიდან მოდიხართ, ბერლინიდან?

— არა, პარიზიდან.

— პარიზიდან? განა შესაძლებელია? იქ რა მდგომარეობაა?

მე უიმედოდ ხელი ჩავიქნიე: იქ არაფერი აღარაა, ყველაფერი გაძარცული და გაპარტახებულია.

ქალი თავს აქნევს, არ მიყურებს, ისე ბუტბუტებს:

— დიახ, დიახ, ასეა: იქ, სადაც ფაშისტები გაივლიან, აღარაფერი არა რჩება.

ბერლინში მითხრეს:

— მოსახლეობა სრულიად გულგატეხილია ახალი ომებისადმი, ყველას ერთად-ერთი კითხვა აკერია პირზე: როდის მოეღება ყველაფერს ამას ბოლო.

საფრანგეთში კი, იქ მცხოვრები გერმანელი ჯარისკაცები საუბრის დროს მხოლოდ შიშზე ლაპარაკობდნენ — მათ აშინებთ ომის დაწყება საბჭოთა კავშირთან. ამას მრავალი და მრავალი ფაქტი მოწმობს.

მათ მძიმე ლოდათ აწევთ აგრეთვე ომის ხანგრძლივობა. ფაშისტური გენერალური შტაბის მერყეობა და მარცხი ლამანშის გადალახვის პრობლემის გადაჭრაში, მერყეობა, რომელიც ყველასათვის ცხადია, მოუსვენრობითა და შფოთით ავსებს გერმანელი ჯარისკაცის გულს, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება, რომელსაც ეს ჯარისკაცები ყველგან აღიარებენ, არის შიში საბჭოთა კავშირთან ომისა: ოღონდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად ნუ გაგვგზავნიანო...

ქვედა ლუარაზე დაბანაკებული რამდენიმე პოლკი უეცრად ვაგონებში ჩასხეს და პოლონეთის მიმართულებით დასძრეს. მათ საბჭოთა კავშირთან აუცილებელი ომის მომასწავებელ ნიშნად ეს ჩასთვალეს და ტირილითა და ყვირილით გაიძახოდნენ: დავიღუპეთ, დავიღუპეთო.

ამ შთაბეჭდილებით აღსავსე ჩამოვედი საბჭოთა კავშირში.

რა დიდ შემსუბუქებას ჰგრძნობ ადამიანი, როცა ხედავ ხალხს ერთსა და იმავე დროს — მშვიდობიანსა და ძლიერს, შრომისმოყვარესა და შეიარაღებულ ოჯახს, ბრძენსა და ძლიერ მთავრობას, რა სიამაყეს ჰგრძნობ, როცა ხედავ კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს მშვიდობიანი მშენებლობით გართულს, რომელმაც მოსპო ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია, სიღარიბე, სიღატაკე, უმეცრება.

აი ქვეყანა, რომელსაც ჰიტლერი და მისი ბანდა საბაბის მიუცემლად, მხეცურად თავს დაესხა! აი, ცივილიზაცია, რომლის მოსპობაც სურთ ფაშისტებს! აი ყველაფერი ის, რასაც, საბჭოთა ამხანაგებო, ჩვენ თქვენთან ერთად დავიცავთ!

ფაშისტებისაგან დახვრეტილ ფრანგი მწერლების, საპატიმროებში ჩაყრილ, ემიგრანტობაზე და ხმის ამოუღებლობაზე განწირულ ფრანგი მწერლების სახელით (იმიტომ, რომ მათ არა სურთ ემსახურონ ფაშისტ ბატონებს) მე გიცხადებთ ჩვენს ღრმა სოლიდარობას.

მთელი მსოფლიო კვლავ შეგყურებთ თქვენ ისე, როგორც შეგყურებდათ 1917 წელს, სამოქალაქო ომების დღეებში.

ეს ომი, რომელიც თავზე მოგახვიეს, განმათავისუფლებელი ომია, ისეთივე ომია, როგორსაც აწარმოებდა საბჭოთა რუსეთი ინტერვენტების წინააღმდეგ, კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩისა და ვრანგელის ურდოების წინააღმდეგ.

გუშინ წითელ მოედანზე გავედი. დიდხანს შევყურებდი მავზოლეუმს, სადაც განისვენებს **ლენინი**, და კრემლს, სადაც ფხიზლობს **სტალინის** ბრძნული აზრი.

დიდი ბედნიერება და ყველასათვის უდიდესი სულიერი შემსუბუქებაა ის, რომ ჩვენ შეგვიძლიან ჩვენს თავს ვუთხრათ — გვყავს **სტალინი**, ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირს მის სამართლიან სამამულო ომში, ხელმძღვანელობს ისევე, როგორც ხელმძღვანელობდა იგი მშვიდობიანობის დროს. ის ზრუნვა, რომლითაც იგი ცდილობდა უკანასკნელ წუთამდე შეენარჩუნებინა მშვიდობიანობა, წარმოადგენს იმ უძლეველობის საწინდარს, რომლითაც ამიერიდან საბჭოთა კავშირი ომს აწარმოებს.

და გუშინ წითელ მოედანზე საფრანგეთის მწერალთა სახელით, რომელთა ხმა ეხლა ჩახშობილია, ისევე, როგორც ჩვენი წინანდელი მასწავლებლების — ჰიუგოს, სტენდალის, ბალზაკის, ვოლტერის, რუსოს, მოლიერის, კორნელის, რაბლეს, მონტენის სახელით—მე ამ დიდ მოძღვართა შეუმჩნეველმა წარმომადგენელმა, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვს მათი სახელით ილაპარაკოს, გარდა იმისა, რომ ის აქ იყო, ხმადაბლა წავიჩურჩულე:

— სტალინ, ჩვენც თქვენთანა ვართ.

მოსკოვი.
„იზვესტია" № 148

საბრძოლო-თავდაცვითი ახალი სიმღერები

საბჭოთა საქართველოს კომპოზიტორებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ახალი საბრძოლო-თავდაცვითი და ანტიფაშისტური მუსიკალური ნაწარმოებების შექმნას.

ომის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს 25-მა კომპოზიტორმა 32 მუსიკალურ ნაწარმოებზე მეტი დასწერა. აქედან უმრავლესობა მოწონებულია ხელოვნების საქმეთა კომიტეტისა და კომპოზიტორთა კავშირის მიერ.

მიღებულია და უახლოეს ხანებში მსახიობთა სპეციალური ბრიგადების მიერ წითელი არმიის ნაწილებში და ესტრადაზე შესრულებული იქნება სიმღერები: კომპოზიტორ ვ. ცაგარეიშვილის „თოფქვეშ" და „საიერიშო" (ტექსტი ს. ფაშალიშვილისა), ო. ბარამიშვილის „საბრძოლო" (რუსული ტექსტი ლებედევ-კუმაჩისა), ორდენოსან კომპოზიტორის ა. ანდრიაშვილის „ჰიმნი" (ტექსტი ნ. ტატიშვილისა), პროფ. კ. მეღვინეთ-უხუცესის „სიმღერა" (ტექსტი ს. მთვარაძისა), გრ. ჩხიკვაძის „რაშია თავდაცვის ძალა" (რუსული ტექსტი ნ. ტიხონოვისა) და „წითელი ლაშქრული" (ტექსტი ირ. აბაშიძისა), თ. შავერზაშვილის „წვევამდელს" (ტექსტი ჩხაიძისა), ორდენოსან კომპოზიტორის ა. ბალანჩივაძის „საბრძოლო" (რუსული ტექსტი სერებრიაკოვისა), თ. ვახვახიშვილის „წითელი არმია" (რუსული ტექსტი მარშაკისა) და „წითელ ფლოტელთა სიმღერა" (რუსული ტექსტი ვესელოვისა), შ. თაქთაქიშვილის „სიტყვა დედას" (ტექსტი ი. ნონეშვილისა), ორდენოსან კომპოზიტორის ი. ტუსკიას „სამშობლო მეძახის" (ტექსტი ი. მოსაშვილისა), ვ. კურტიდის „წინ, მებრძოლო!" (ტექსტი გ. ქუჩიშვილისა), ლ. ფალიაშვილის „მხედრული" (ტექსტი კ. ბობოხიძისა), რ. გაბიჩვაძის „წითელი არმიელი ვარ" (ტექსტი მ. ჯაფარიძისა), ორდენოსან კომპოზიტორის ი. გოკიელის „წითელი ლაშქრული" (ტექსტი გ. ტაბიძისა), ვ. შავერზაშვილის „ლაშქრული" (ტექსტი ბაჩანასი) და დ. სლიანოვას „ბედნიერი ქვეყანა" (ტექსტი ბალაშინისა).

საქართველოს კომპოზიტორები განაგრძნობენ მუშაობას ახალი სიმღერების შესაქმნელად.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. ჭულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 35458